ცვლილება №2
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2016 წლის 6 მაისის № GOG/D/C/435-2016 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

ქ. თბილისი 25 იანვარი 2017 წ.

ერთის მხრივ, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის ბ-ნი გალაქტიონ ბუაძის სახით და მეორეს მხრივ, ა(ა)იპ „მერაბ ბერძენიშვილის კულტურის საერთაშორისო ცენტრი „მუზა" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ბ-ნი დავით გეგელაშვილის სახით,

ვითვალისწინებთ რა, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ცვლილებათა კომისიის 2016 წლის 23 დეკემბრის N74 სხდომის ოქმით განხილულ გარემოებას, ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

2016 წლის 6 მაისის № GOG/D/C/435-2016 ხელშეკრულებაში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1.ხელშეკრულების დანართიდან N1 (ტექნიკური დავალება) ამოღებული იქნას დავალება N2 და დავალება N3 გათვალისწინებული მომსახურების ეტაპები, შესაბამისად შევიდეს ცვლილება ხელშეკრულების დანართში N1 (ტექნიკური დავალება) და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

2. ხელშეკრულების დანართით N1 (ტექნიკური დავალება) გათვალისწინებული მომსახურების მოცულობის შემცირების გათვალისწინებით, შემცირდეს ხელშეკრულების ღირებულება დანართით N1 (ტექნიკური დავალება) გათვალისწინებული ეტაპების დავალება N2 და დავალება N3 ღირებულების პროპორციულად, კერძოდ 105.000 (ასხუთი ათასი) ლარით. შესაბამისად შევიდეს ცვლილება ხელშეკრულების 3.1. პუნქტში და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით, ხოლო ხელშეკრულების 3.3. ;7.5.1. და 7.5.2. პუნქტები ამოღებული იქნას ხელშეკრულებიდან.

„3.1. მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 45.000 (ორმოცდახუთი ათასი) ლარს."

3. მომსახურების მოცულობის შემცირების გამო შემცირდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადა, შესაბამისად შევიდეს ცვლილება ხელშეკრულების მე-18 მუხლში და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

4. ხელშეკრულების სხვა პირობები დარჩეს უცვლელად.

5. წინამდებარე ცვლილება წარმოადგენს 2016 წლის 6 მაისის № GOG/D/C/435-2016 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, იგი შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს.

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი	**ა(ა)იპ „მერაბ ბერძენიშვილის კულტურის საერთაშორისო ცენტრი „მუზა"**
_____	_____
გალაქტიონ ბუაძე	დავით გეგელაშვილი
აღმასრულებელი დირექტორი	დირექტორი

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
ხელშეკრულების
"დიდგორის მემორიალური კომპლექსის რეაბილიტაციისა და მიმდებარე ტერიტორიაზე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობასთან დაკავშირებით საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება"
№ GOG/D/C/435-2016 ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხის განხილვა
ცვლილებათა განხილვის კომისიის სხდომის
ოქმი N 4/

23 დეკემბერი 2016 წ.

ქ. თბილისი

სხდომას ესწრებოდნენ:
გალაქტიონ ბუაძე- ფონდის აღმასრულებელი დირექტორი, კომისიის თავმჯდომარე;
ჯუანშერ ბურჭულაძე - ფონდის აღმასრულებელი დირექტორის პირველი მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
დავით ტაბიძე - ფონდის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე, კომისიის წევრი;
თორნიკე თორაძე - ფონდის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე, კომისიის წევრი;
ირაკლი ფარესიშვილი - ფონდის შესყიდვების სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი;
წიკოლოზ დოლიძე - ფონდის იურიდიული სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი;
პაატა იაკობაშვილი - ფონდის პროექტების შეფასები სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი;
ტარიელ გუგავა-ფონდის მშენებლობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი;
ლევან სუხიტაშვილი - ფონდის მშენებლობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი, კომისიის მდივანი;
თენგიზ გოგოტიშვილი - დონორებთან ურთიერთობის და პროექტების მართვის სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი;
გრიგოლ ფერაძე - ფონდის შიდა მონიტორინგის სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი;
გიორგი ბარიშვილი - ფონდის შიდა მონიტორინგის სამსახურის სპეციალისტი, კომისიის წევრი;

დღის წესრიგი:
სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ, საქართველოს მთავრობის დაფინანსებით, 2012 წლის 6 მაისს, ააიპ „მუზა"-ს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილების საკითხის განხილვა.

მოისმინეს: დონორებთან ურთიერთობის და პროექტების მართვის სამსახურის პროექტი მენეჯერის ნინო დვალის ინფორმაცია ზემოაღნიშნული კონტრაქტის დასრულების შესახებ.

ცვლილების გამომწვევი მიზეზები:

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და კონსულტანტ ააიპ მერაბ ბერძენიშვილის კულტურის საერთაშორისო ცენტრ „მუზა"-ს შორის 2016 წლის 6 მაისს გაფორმდა ხელშეკრულება GOG/D/C/435-2016, დიდგორის მემორიალური კომპლექსის რეაბილიტაციისა და მიმდებარე ტერიტორიაზე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობასთან დაკავშირებით საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით. აღნიშნულ ხელშეკრულებაში, პროექტების შეფასების სამსახურის, ამა წლის 20 ივლისის (დოკუმენტის შიდა ნომერი №2926-მ) სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, 29 ივლისს მოხდა ჩასწორება, რომელიც თავის მხრივ გულისხმობდა, მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ, წინასაპროექტო მასალაზე დაყრდნობით განსაზღვრული მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის პროცედურების წარმართვას და აღნიშნული საქმეთწარმოების პერიოდში ხელშეკრულების დროებით შეჩერებას, სათანადო შეტყობინების გაგზავნამდე.

კონსულტანტს დღეის მდგომარეობით უკვე შესრულებული აქვს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირველი ეტაპი - კვლევების ანგარიში, ამასთან ერთად კონსულტანტმა წინასაპროექტო კვლევების ფარგლებში (ხელშეკრულებით გათვალისწინებული II ეტაპი) განახორციელა გარკვეული სამუშაოები, რის შესახებაც წერილობით მომართა ფონდს ამა წლის 15 ივლისს წერილი N3105. ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული პირველი ეტაპის ფარგლებში მომზადდა დიდგორის მემორიალის რეაბილიტაციისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ავტოსადგომის მშენებლობის პროექტი. ზემოთხსენებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემდგომი ეტაპების განსახორციელებლად და საბოლოო საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოსამზადებლად, აუცილებელია თითოეული საპროექტო ობიექტისათვის შესაბამისი ტერიტორიის მუნიციპალურ ან სახელმწიფოს საკუთრებაში რეგისტრაცია.

ფონდისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ერთობლივი თანამშრომლობის საფუძველზე წარიმართა პროექტით გათვალისწინებული ავტოსადგომის მშენებლობისათვის განსაზღვრული მიწის ნაკვეთის

რეგისტრაციის პროცედურები. აღნიშნული პროცესი დახარვეზდა საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, საპროექტო ავტოსადგომის მიმდებარედ დაგეგმილი საავტომობილო გზის ბუფერის გამო. რაც შეეხება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ინფრასტრუქტურულ შენობებს და ხაზობრივ ნაგებობებს, ფონდი მოკლებულია საშუალებას მოახერხოს პროექტით განსაზღვრული ობიექტების განთავსებისთვის საჭირო მიწის ნაკვეთების პირვანდელი რეგისტრაცია, ასევე ნიშანდობლივია ის გარემოებაც რომ, წინასაპროექტო კვლევების საფუძველზე დადგინდა აღნიშნული პროექტით გათვალისწინებული ობიექტების სამშენებლო სამუშაოების წარმოების სავარაუდო მაღალი ფასი და არამიზანშეწონილობა.

ყოველივე ზემოთხსენებულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია GOG/D/C/435-2016 ხელშეკრულებების დასრულება შემცირებული სამუშაოთა მოცულობით.

განიხილეს:
დონორებთან ურთიერთობის და პროექტების მართვის სამსახურის პროექტი მენეჯერის ნინო დვალის ინფორმაცია ზემოაღნიშნული კონტრაქტის დასრულების შესახებ.

დაადგინეს:
თანხმობა მიეცეს:

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და კონსულტანტ ააიპ მერაბ ბერძენიშვილის კულტურის საერთაშორისო ცენტრ „მუზა"-ს შორის 2016 წლის 6 მაისს გაფორმებული ხელშეკრულების №GOG/D/C/435-2016, დასრულებას შემცირებული სამუშაოთა მოცულობით.

კომისიის თავმჯდომარე	/ გალაქტიონ ბუაძე /
კომისიის თავმჯდომარის მოადგილე	/ ჯუანშერ ბურჭულაძე /
კომისიის წევრი	/ დავით ტაბიძე /
კომისიის წევრი	/ თორნიკე თორაძე /
კომისიის წევრი	/ირაკლი ფარესიშვილი/
კომისიის წევრი	/ წიკოლოზ დოლიძე /
კომისიის წევრი	/ პაატა იაკობაშვილი /
კომისიის წევრი	/ გრიგოლ ფერაძე /
კომისიის წევრი	/ ტარიელ გუგავა /
კომისიის წევრი	/ გიორგი ბარიშვილი /
კომისიის წევრი	/ თეწგიზ გოგოტიშვილი /
კომისიის მდივანი	/ ლევან სუხიტაშვილი /

2016 წლის 6 მაისის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
№ GOG/D/C/435-2016 ხელშეკრულების დანართი N1

ტექნიკური დავალება
საკონსულტაციო მომსახურებაზე.

დიდგორის მემორიალის რეაბილიტაცია და მემორიალის მიმდებარე ტერიტორიაზე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა.

1. საფუძველი

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი საქართველოს მთავრობის დაფინანსებით ახორციელებს ინფრასტრუქტურული მომსახურების და ინსტიტუციური შესაძლებლობის გაუმჯობესება ტურიზმზე დაფუძნებული ეკონომიკისა და კულტურული მემკვიდრეობის მარშრუტების განვითარების ხელშეწყობისათვის საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 15 მარტის №435, დადგენილების საფუძველზე გეგმავს შეისყიდოს, საკონსულტაციო მომსახურება, დიდგორის მემორიალური კომპლექსის სარეაბილიტაციო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოსამზადებლად.

2. სამუშაოთა მოცულობა

დიდგორის მემორიალური კომპლექსი დღეის მდგომარეობით საჭიროებს სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას, კონსულტანტი ფოკუსირებული იქნება მემორიალის სარესტავრაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებაზე.

3. კონსულტანტის მიერ შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალი:

1. **დიდგორის მემორიალის კომპლექსის აღდგენითი სამუშაოების პროექტირება;**

დაზიანებული ბრინჯაოს ქანდაკებების აღდგენა. დედაბომთან მისასვლელი კიბის, სკამებისა და თეატრონის შეკეთება. გადათხრილი კოლონის აღდგენა ან შეცვლა. ყველა ზარის აღდგენა ან ახლით ჩანაცვლება. დაზიანებული აბსტრაქციული ფიგურების და ქანდაკებების აღდგენა

აღნიშნული ობიექტისათვის უნდა დამუშავდეს სრული საპროექტო დოკუმენტაცია. პროექტირების სტადიაში ჩართული უნდა იყოს საქართველოს მუნიციპალური განვითარების შესაბამის სპეციალისტთა ჯგუფი. პროექტირების სტადიაში კონსულტანტი დამკვეთთან აქტიური თანამშრომლობის პროცესში შეარჩევს ყველა საპროექტო ობიექტს.

კონსულტანტმა უნდა განახორციელოს შემდეგი დავალებები:

დავალებაN1.

კონსულტანტი ადგილზე შეისწავლის თითოეულ ობიექტს. განახორციელებს აზომვით სამუშაოებს, მოამზადებს საპროექტო ტერიტორიის შესაბამის ტოპოგრაფიულ აზომვით ნახაზებს. ობიექტის მონახულება სასურველია განხორციელდეს დამკვეთის წარმომადგენლებთან ერთად. კონსულტანტი ასევე უნდა დაუკავშირდეს ობიექტების მეპატრონეებსა და მოსარგებლეებს.

I დავალების დასასრულებლად, კონსულტანტი თითოეული ობიექტისათვის მოამზადებს:

1. თითოეული საპროექტო ობიექტის შესაბამისი ტოპოგრაფიული აზომვითი ნახაზი.
2. არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა.
3. ზოგადი მიმართულებები საპროექტო ობიექტების, სარესტავრაციო სარეაბილიტაციო პროექტის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით.
4. ობიექტის ერთიანი და ცალკეული გენერალური გეგმა, მომზადებული 1:500 მასშტაბში, და ყველა არსებული შენობისა თუ ნაგებობის ჩვენებით.
5. რესტავრაცია რეაბილიტაციის, და საპროექტო შენობების კონცეფტუალური პროექტი.
6. სარესტავრაციო ობიექტების აზომვითი ნახაზები.

პროექტირებისას გათვალისწინებული უნდა იქნას, საქართველოს გარემოსდაცვითი კანონები.

პროექტი უნდა დამუშავდეს სამუშაო დოკუმენტაციისათვის მოთხოვნილი მოქმედი ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად. ტექნიკური სპეციფიკაციები უნდა მოიცავდეს კონტრაქტორისათვის (სამშენებლო ტენდერში მონაწილეთათვის) ზოგად მითითებებსა და რეკომენდაციებს. ასევე, დეტალურ სპეციფიკაციებს (ყველა აუცილებელი სტანდარტის მითითებით) გამოყენებული მასალების, სამუშაოთა შესრულების მეთოდებისა და ხარისხის კონტროლისათვის.

<u>საპროექტო დოკუმენტაცია მომზადებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.</u>

7. ვადები და გადახდები

საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება;

კონტრაქტის ხელმოწერიდან სამი კვირის ვადაში, კონსულტანტმა უნდა წარმოადგინოს დავალება N1-ით განსაზღვრული სამუშაოების ანგარიში.

კონსულტანტმა საბოლოოდ დამკვეთს უნდა გადასცეს დეტალური საპროექტო დოკუმენტაცია და სატენდერო მასალები დაბეჭდილი ოთხ ეგზემპლარად, ქართულ და ინგლისურ ენებზე. წარმოდგენილ მასალებს თან უნდა დაერთოს მათი ელექტრონული ვერსიები (ტექსტური ნაწილი Word და Excel ფაილების სახით, ხოლო ნახაზები - CAD და PDF ფორმატში).

პროექტის განხორციელების პერიოდში კონსულტანტი განახორციელებს შემდეგ საქმიანობას:

1. სამუშაოების მონიტორინგი და შესრულებული სამუშაოების ინსპექტირება დეტალურ საპროექტო დოკუმენტაციით განსაზღვრულ სპეციფიკაციებთან შესაბამისობის თვალსაზრისით;
2. მონაწილეობის მიღება ტექნიკური საკითხების გადაწყვეტაში და საჭიროების შემთხვევაში სამუშაო დოკუმენტაციის კორექტირებას, ცვლილებების მომზადებასა და შეთანხმებაში.
3. ყოველთვიურად პროექტის ზედამხედველობის ანგარიშის წარმოდგენა და პროექტის დასრულებისათვის საბოლოო ანგარიშის მომზადება.

8. დამკვეთის წვლილი

დამკვეთი კონსულტანტს გადასცემს მის ხელთ არსებულ ყველა მასალას, რომელიც შეიძლება საჭირო იყოს საკონსულტაციო მომსახურებისათვის.